

გენერალური ხელშეკრულება N
(საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ)

ქ. თბილისი,

2024წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. მიკრობანკი

სახელწოდება:

სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში მიკრობანკი)
ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N68,
სართული 1, საოფისე ფართი #2.

იურიდიული მისამართი:

წარმომადგენელი:

032 2-50-50-02

ტელეფონი:

info@mbc.com.ge

ელ. ფოსტა:

404967078

საიდენტიფიკაციო კოდი:

საქართველოს ეროვნული ბანკი

საზედამხებველო ორგანოს

0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2

დასახელება და მისამართი:

მიკრობანკის საქმიანობის

472

ლიცენზიის ნომერი:

1.2. კლიენტი (მსესხებელი
/თანამსესხებელი)

სახელი, გვარი/დასახელება:

დაბადების/რეგისტრაციის

თარიღი:

ფაქტიური მისამართი:

რეგისტრაციის/იურიდიული

მისამართი:

პასპ/პირად.მოწმობის N:

პირადი/საიდენტიფიკაციო

ნომერი:

ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

საბანკო რეკვიზიტები:

წარმომადგენელი:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ მიკრობანკი მოემსახურება კლიენტს შემდეგი საბანკო პროდუქტებით: სესხები (კრედიტები), საკრედიტო ბარათი, დერივატივი. წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს მიკრობანკის დაპირებას ან/და ვალდებულებას ჩამოთვლილი საბანკო პროდუქტებით მომსახურებასთან დაკავშირებით. კლიენტს კონკრეტული საბანკო პროდუქტი მიეწოდება და შესაბამისი მომსახურება გაეწევა იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს შესაბამის განაცხადს და დააკმაყოფილებს შესაბამის პროდუქტებთან დაკავშირებით კანონმდებლობით დაწესებულ რეგულაციებს, ასევე მიკრობანკის მოთხოვნებსა და პირობებს.

2.2. კონკრეტული საბანკო პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში მიკრობანკი და კლიენტი გააფორმებენ (დადებენ) ამ ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებებს იმ საბაზისო პირობებით, რომლებიც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით. შემადგენელი ხელშეკრულებებია: საკრედიტო ხელშეკრულება (კრედიტების (სესხების) შემთხვევაში), საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება და დერივატივის ხელშეკრულება. შემადგენელ ხელშეკრულებასა და გენერალურ ხელშეკრულებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესია და გამოიყენება შემადგენელი ხელშეკრულება.

2.3. კლიენტის ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულებიდან, უზრუნველყოფილი იქნება არსებული ან სამომავლოდ დადებული იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ან/და ვალდებულებათა (მოთხოვნების) უზრუნველყოფის სხვა ხელშეკრულებებით, რომლებიც თავის მხრივ გაფორმდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების

უზრუნველსაყოფად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემადგენელ ხელშეკრულებაში კონკრეტულად არის მითითებული მისი უზრუნველყოფის საშუალება და შესაბამისი იპოთეკის, გირავნობის ან/და თავდებობის ხელშეკრულება;

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დადებული კონკრეტული შემადგენელი ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თითოეული მათგანი უზრუნველყოფილია წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკით, გირავნობით, თავდებობით ან/და ვალდებულებათა (მოთხოვნების) უზრუნველყოფის სხვა საშუალებებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემადგენელ ხელშეკრულებაში კონკრეტულად არის მითითებული მისი უზრუნველყოფის საშუალება და შესაბამისი იპოთეკის, გირავნობის ან/და თავდებობის ხელშეკრულება;

მუხლი 3. კრედიტების (სესხების) ზოგადი პირობები

3.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში, მიკრობანკმა კლიენტზე (მსესხებელზე) შესაძლებელია გასცეს სხვადასხვა კრედიტები (სესხები) მიკრობანკის მიერ დადგენილი წესების და კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად. კრედიტების (სესხების) საერთო (ზოგადი) პირობები შემდეგია:

3.1.1 გაცემული კრედიტების მაქსიმალური ჯამური ოდენობა (ლიმიტი):	1 000 000 ლარი
3.1.2. კრედიტების ვალუტა:	ლარი
3.1.3. კრედიტების მაქსიმალური ვადა:	180 თვე
3.1.4. მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი:	ეფექტური 50%

3.1.5. საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდეგი საჯარო ინდექს(ებ)ი (შემდგომში „ინდექსი“):

3.1.5.1. რეფინანსირების განაკვეთი (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი) - მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის მნიშვნელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ორიენტირი საპროგნოზო ინფლაციაა. რეფინანსირების განაკვეთის მნიშვნელობისა და მისი გაანგარიშების წესის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ: <https://nbg.gov.ge/page/monetaruli-politikis-ganakveti>.

3.1.6. მხარეები თანხმდებიან, რომ გამოყენებული ინდექსის გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, მიკრობანკი განსაზღვრავს ალტერნატიულ ინდექსს, რის თაობაზეც, არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, შეატყობინებს მომხმარებელს, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ. ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. ხელშეკრულებით განსაზღვრული ინდექსის გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის/ შეჩერების შემთხვევაში:

3.1.6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი, არსებული ინდექსით იქნება დაანგარიშებული იმ მომენტამდე, რა მომენტშიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უნდა მომხდარიყო არსებული ინდექსის განახლება;

3.1.6.2. მიკრობანკის მიერ, ახალი, ალტერნატიული ინდექსის გათვალისწინებით, განისაზღვრება/შეიცვლება საპროცენტო სარგებლის დაანგარიშების წესი;

3.1.6.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დაანგარიშებისთვის გამოყენებული ინდექსის ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის/შეჩერების შემდგომ, მისი ოფიციალურად გამოქვეყნების აღდგენის შემთხვევაში, მიკრობანკი უფლებამოსილია საპროცენტო სარგებლის დაანგარიშების მიზნით, განაგრძოს საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მის მიერ განსაზღვრული ალტერნატიული ინდექსით ან აღადგინოს საპროცენტო სარგებლის დაანგარიშებისთვის მანამდე გამოყენებული ინდექსი, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2. კრედიტის გაცემა

3.2.1. კრედიტის გაცემა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დადებული კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, მისი ხელმოწერის შემდეგ.

3.2.2. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში საკრედიტო ბარათის ან/და უძრავი ქონების იპოთეკით ან/და სატრანსპორტო საშუალების გირავნობით უზრუნველყოფილი სესხების გაცემის მიზნით, გამსესხებელი მსესხებელს გადასცემს საკრედიტო საგადახდო ბარათს. საკრედიტო ბარათის ან/და უძრავი ქონების იპოთეკით ან/და სატრანსპორტო საშუალების გირავნობით უზრუნველყოფილი კრედიტის გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მსესხებლისათვის გადაცემულ საკრედიტო საგადახდო ბარათზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3.3. კრედიტის დაფარვის პირობები

3.3.1. კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდებიან სესხის კონკრეტულ ოდენობაზე, დაბრუნების ვადაზე, სარგებელზე (მათ შორის ყოველთვიურზე), საკომისიოზე და სესხის დაფარვის პირობებზე.

3.3.2. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სესხის წინსწრებით (ვადამდე) სრულად ან არასრულად დაფარვისას მსესხებელს შეიძლება დაეკისროს წინსწრების საკომისიო, წინსწრების პირობები და ამ შემთხვევაში გადასახდელი საკომისიოს ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საკრედიტო ხელშეკრულებით.

- 3.3.3.** გადასახდელი თანხა შედეგება კრედიტის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული სარგებლისგან, რომელიც უნდა გადაიხადოს მსესხებელმა საკრედიტო ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის დაცვით.
- 3.3.4.** პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე დაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დააგვიანებს და არ გადაიხდის კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში კრედიტის ძირითად თანხას ან/და დარიცხულ პროცენტს. პირგასამტეხლოს ოდენობა და მისი დარიცხვის წესი განსაზღვრება საკრედიტო ხელშეკრულებით.
- 3.3.5.** მიკრობანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს ან შეწყვიტოს ვადაგადაცილებულ თანხაზე (თანხებზე) პირგასამტეხლოს დარიცხვა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას მიკრობანკი იღებს ცალმხრივად.
- 3.3.6.** კრედიტის დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს, კრედიტის ძირითადი თანხა. მიკრობანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).
- 3.3.7.** სესხის დაფარვის მიზნით მსესხებლის მიერ გადასახდელი თანხების გადახდა შესაძლებელია როგორც მიკრობანკის სერვის ცენტრის სალაროში, ასევე სწრაფი გადახდის აპარატებში თანხის შეტანის გზით. სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით თანხის გადახდისას კლიენტმა (გადამხდელთა პირმა) უნდა მიუთითოს კლიენტის უნიკალური ნომერი N----. კლიენტი ვალდებულია აცნობოს მიკრობანკს საბანკო არხებით ან სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ გადახდის მიზნით განხორციელებული გადახდის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სესხის წინსწრებით, სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით განხორციელებული გადახდის შესახებ, კლიენტის შეტყობინება (მიკრობანკის ინფორმირება) იძლევა კლიენტის იდენტიფიკაციის საშუალებას, მიკრობანკი იღებს ვალდებულებას განახორციელოს სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა ასეთი შეტყობინების მიღების დღეს. არაიდენტიფიცირებადი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, მიკრობანკი იტოვებს უფლებას არ განახორციელოს სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა.
- 3.3.8.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან და მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ მიკრობანკს უფლება აქვს მის წინაშე მსესხებლის ნებისმიერი ფულადი ვალდებულების დასაფარად, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ოვერდრაფტის სახით გამოყოს სესხის თანხა აღნიშნული ვალდებულების ოდენობით და მიმართოს იგი იმავე ვალდებულების სრულად დასაფარად. მხარეთა შეთანხმებით ოვერდრაფტი წარმოადგენს მსესხებელზე გასაცემ სესხის თანხას (ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში), რომელიც გაცემის მომენტში აღარ საჭიროებს მსესხებლის მიერ მის უშუალოდ მიღებას, დამატებით თანხმობას ან/და დასტურს და ითვლება მსესხებელზე გაცემულად ოვერდრაფტის თანხით მსესხებლის სხვა ნებისმიერი ვალდებულების გადაფარვისთანავე. მხარეები თანხმდებიან, რომ ოვერდრაფტის თანხას მისი გაცემის დღიდან დაერიცხება პროცენტი (სარგებელი) იმ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, რომელი ხელშეკრულებიდანაც გამომდინარეობს გადასაფარი ვალდებულება. მიკრობანკი ვალდებულია შეატყობინოს მსესხებელს ოვერდრაფტის სახით სესხის გაცემის (დარიცხვის) შესახებ და მიუთითოს შეტყობინებაში, რომელი ვალდებულების დასაფარად იქნა დაშვებული ოვერდრაფტი, ასევე ოვერდრაფტის თანხა და მისი დაფარვის ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნულ ვადაში ოვერდრაფტის თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ოვერდრაფტის ძირ თანხაზე იმ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობით, რომელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დაფარვაც განხორციელდა გაცემული ოვერდრაფტით.

მუხლი 4. საკრედიტო ბარათის ზოგადი პირობები

- 4.1.** წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია მიკრობანკმა მსესხებელზე გასცეს საკრედიტო ბარათი;
- 4.2.** საკრედიტო ბარათის გაცემის შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმდება საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს;
- 4.3.** საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით განისაზღვრება შემდეგი ძირითადი პირობები:
- 4.3.1.** საკრედიტო (ბარათის) ლიმიტი/სესხის მოცულობა;
- 4.3.2.** დაანგარიშების თარიღი;
- 4.3.3.** საკრედიტო ლიმიტის/სესხის ვადა;
- 4.3.4.** წლიური საპროცენტო განაკვეთი;
- 4.3.5.** ეფექტური საპროცენტო სარგებელი;
- 4.3.6.** საკრედიტო ლიმიტის/სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო;
- 4.3.7.** ასათვისებელი ლიმიტიდან ასათვისებელი/გასატანი სესხის თანხის ოდენობა;

მიკრობანკი /-----/ 3 კლიენტი /-----/

/-----/

4.3.8. პირგასამტეხლო (ჯარიმა) ვადაგადაცილებზე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

4.3.9. საშელავათო პერიოდი;

4.3.10. საკრედიტო ბარათის განაღდების/სესხის გატანის საკომისიო;

4.3.11. საკრედიტო ბარათის ღირებულება და წლიური მომსახურების საკომისიო.

4.4. სხვა პირობები

4.4.1. მსესხებელი ვალდებულია ყოველთვიურად გადაიხადოს მინიმალური შენატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით და რომელიც შედგება ათვისებული საკრედიტო ლიმიტის/სესხის თანხის გარკვეული ნაწილისა და ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე/სესხის თანხაზე დარიცხული პროცენტისაგან. ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე/სესხის თანხაზე მიმდინარე თვის საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება და დარიცხვა მოხდება გამოყენებული დღეების მიხედვით. თუ თვის ბოლო დღისათვის ათვისებული საკრედიტო ლიმიტი სრულად შევსებულია (დაბრუნებულია) მსესხებელს პროცენტი არ ერიცხება და იგი არ იხდის მინიმალურ შენატანს.

4.4.2. მსესხებელი უფლებამოსილია ისევ გამოიყენოს და აითვისოს მის მიერ ყოველთვიური შენატანების სახით შევსებული საკრედიტო ლიმიტი/დაბრუნებული სესხის ძირითადი თანხა.

4.4.3. საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით განისაზღვრება მინიმალური გადასახდელი თანხის დაანგარიშების თარიღი და მისი გადახდის ვადა.

4.4.4. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებზე დარიცხება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაავიანებს და არ გადაიხდის მინიმალურ შენატანს დადგენილ ვადაში ან/და საკრედიტო ლიმიტის/სესხის ვადის დასრულების შემდეგ არ დააბრუნებს ათვისებულ თანხას/მიღებულ სესხს. პირგასამტეხლოს ოდენობა და დარიცხვის წესი განისაზღვრება საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით.

4.4.5. მიკრობანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს ან შეწყვიტოს ვადაგადაცილებულ თანხაზე (თანხებზე) პირგასამტეხლოს დარიცხვა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას მიკრობანკი იღებს ცალმხრივად.

4.4.6. მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის გადახდილი თანხით პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს, კრედიტის ძირითადი თანხა. მიკრობანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).

4.4.7. სესხის დაფარვის მიზნით მსესხებლის მიერ გადასახდელი თანხების გადახდა შესაძლებელია როგორც მიკრობანკის სერვის ცენტრის სალაროში, ასევე სწრაფი გადახდის აპარატებში თანხის შეტანის გზით. სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით თანხის გადახდისას კლიენტმა (გადამხდელმა პირმა) უნდა მიუთითოს კლიენტის უნიკალური ნომერი N ----.

მუხლი 5. დერივატივის ზოგადი პირობები

5.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში მიკრობანკსა და კლიენტს შორის შესაძლებელია გაფორმდეს დერივატივის ხელშეკრულება.

5.2. მხარეთა შორის დადებული დერივატივის ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს.

5.3. დერივატივი წარმოადგენს მხარეთა შორის დადებულ კვალიფიციურ ფინანსურ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისადაც მხარეები თანხმდებიან ეროვნული და უცხოური ვალუტის გაცვლის კონკრეტულ პირობებზე, ვადებზე და ფასზე, ამასთან დერივატივის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გარიგების ღირებულება და ფულადი ნაკადები, დამოკიდებულია ეროვნული და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსზე და ანგარიშსწორების ვადებზე. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის დერივატივში იგულისხმება მათ შორის (და არამარტო) სვოპი და ფორვარდი ან შეთანხმება მათი კომბინირებული პირობებით.

5.4. კლიენტის მიერ დერივატივის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა გამოიწვევს პირგასამტეხლოს დარიცხვას, რომლის ოდენობა, დაანგარიშებისა და გადახდის წესი განისაზღვრება დერივატივის ხელშეკრულებით. მიკრობანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს ან შეწყვიტოს პირგასამტეხლოს დარიცხვა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას მიკრობანკი იღებს ცალმხრივად.

5.5. დერივატივის ხელშეკრულებით განისაზღვრება კონკრეტული საკომისიოები, მათი ოდენობა და გადახდის წესი, რომლის გადახდაც დაეკისრება კლიენტს დერივატივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან/და გარემოებების დადგომისას ან/და მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

5.6. კლიენტის მიერ დერივატივით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და შესაბამისი თანხების გადახდა შესაძლებელია მიკრობანკის სერვის ცენტრების სალაროებში.

მუხლი 6. კლიენტის განცხადებები და გარანტიები

6.1. კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

მიკრობანკი /-----/ 4 კლიენტი /-----/
/-----/

6.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღეს მისი საცხოვრებელი ადგილი და კოორდინატებია ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი, ხოლო მათი შეცვლის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობებს კრედიტორს;

6.1.2. აქვს წინამდებარე ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები;

6.1.3. არ მონაწილეობს არცერთ ისეთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას მსესხებლის მიერ მიკრობანკის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას;

6.2. სს მიკრობანკი „ემბისი“ შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაზლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

6.3. კლიენტის თანხმობა სს-ს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს მიკრობანკმა „ემბისიმ“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სს-ს - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.“

კლიენტის მინდობილი პირის თანხმობა სს-ს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს მიკრობანკმა „ემბისიმ“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სს-ს - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი ან/და ჩემი მარწმუნებლის პერსონალური მონაცემები.“

6.4. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, კლიენტი ადასტურებს, რომ არ მონაწილეობს (პირდაპირ ან არაპირდაპირ) რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში, ტრეფიკინგში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, მსესხებლის რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყენებს თავის საქმიანობაში იძულებით შრომას, მათ შორის არასრულწლოვანთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომას, მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულებების (შეთანხმების) მიზნები და სპეციალური პირობები

7.1. კლიენტი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნები და სპეციალური პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.2. თუ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულია სესხის (კრედიტის) მიზნობრიობა მსესხებელი ვალდებულია დაიცვას კრედიტის მიზნობრიობა და გამოიყენოს კრედიტის თანხა მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებული მიზნობრიობით. მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს სესხის თანხის მთლიანად უკან დაბრუნება. მიკრობანკი უფლებამოსილია განახორციელოს კრედიტის მიზნობრიობის, აგრეთვე მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსთხოვოს ინფორმაცია მსესხებელს, რომელიც ვალდებულია წარუდგინოს მიკრობანკის შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები.

მუხლი 8. ადგილსამყოფელისა და ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების შესახებ

8.1. კლიენტი ვალდებულია წინასწარ აცნობოს მიკრობანკს:

8.1.1. ადგილსამყოფელის შეცვლის, ახალი საკონტაქტო ინფორმაციის და ცვლილების თარიღის შესახებ.

8.1.2. ფინანსურ და/ან ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების და ასევე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები.

მუხლი 9. ხელშეკრულების დარღვევა

9.1. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული შემადგენელი ხელშეკრულების, ამ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების, ან ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი პირობის დარღვევა, მათ შორის სესხის გადახდის გრაფიკის ან სესხის მიზნობრიობის დარღვევა, ასევე სხვა გენერალური ხელშეკრულების და მის ფარგლებში დადებული ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულების დარღვევა, ან კლიენტის მიერ მიკრობანკის წინაშე ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, განიხილება, როგორც კლიენტის მიერ მთლიანად ამ ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია გაუგზავნოს კლიენტს შეტყობინება და მოითხოვოს ორი კვირის ვადაში ვალდებულების შესრულება (სესხის შემთვევაში მიმდინარე დავალიანების დაფარვა). დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულება, მათ შორის მიკრობანკი უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლისაგან სესხის ძირითადი თანხის ან/და სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის და პროცენტების, ასევე ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის, ვადაგადაცილების პროცენტის და პირგასამტეხლოს გადახდა სესხის სრულად დაფარვამდე ან/და აღსრულებამდე, ასევე მოითხოვოს ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარიცხული პირგასამტეხლოების, საკომისიოების ან/და სხვა ფულადი ვალდებულებების შესრულება და დაიწყოს სამართლებრივი დავა ან/და აღსრულების პროცედურები.

9.2. კლიენტი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 9.1. პუნქტში აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ და მასში მითითებულ ვადაში დაუყოვნებლივ დააბრუნოს კრედიტის ძირითადი თანხა ან/და კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხა მასზე დარიცხულ პროცენტებთან და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა გადასახდელ თანხასთან ერთად, ასევე გადახადოს ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულებით დარიცხული პირგასამტეხლო, საკომისიო ან/და სხვა ფულადი ვალდებულება.

9.3. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული ქონების გადმოცემა ან/და რეალიზაცია და პირველ რიგში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი ეკისრება კლიენტს.

9.4. მხარეები თანხმდებიან, რომ იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული ქონების მიკრობანკისთვის გადაცემა და რეალიზაცია შესაძლებელია ასევე განხორციელდეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

9.5. მიკრობანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აღსრულების მეთოდი (საშუალება) და გამოიყენოს ის მეთოდი (საშუალება), რასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს თავისი მოთხოვნის უკეთ და სწრაფად დაკმაყოფილების მიზნით.

9.6. მიკრობანკი უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულების დარღვევის, ასევე სხვა გენერალური ხელშეკრულების და მის ფარგლებში დადებული ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულების დარღვევის, ან კლიენტის მიერ მიკრობანკის წინაშე ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, ზემოაღნიშნული წესით, ვადამდე მთლიანად მოშალოს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება და მის საფუძველზე დადებული ყველა შემადგენელი ხელშეკრულება, შესაბამისად აღსასრულებლად (სარეალიზაციოდ) მიაქციოს იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ყველა ქონება, მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება ყველა თავდება ან/და აღსასრულებლად მიაქციოს ნებისმიერი სხვა უზრუნველყოფის საშუალება (ხელშეკრულება). აღნიშნული არ გამორიცხავს და მიკრობანკი უფლებამოსილია, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ვადამდე მოშალოს მხოლოდ ის შემადგენელი ხელშეკრულება, რომლის პირობებიც ირღვევა და თავისი შეხედულებით აირჩიოს - იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთულ რომელ ქონებას მიაქცევს სარეალიზაციოდ, რომელ თავდებას მოსთხოვს ვალდებულების სოლიდარულად შესრულებას ან/და რომელ ნებისმიერ სხვა უზრუნველყოფის საშუალებას (ხელშეკრულებას) მიაქცევს აღსასრულებლად.

9.7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე და შემადგენელი ხელშეკრულებებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ან დაგირავებული ნივთების (ქონების) რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა სრულად ვერ ფარავს წინამდებარე და შემადგენელი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კლიენტის ფულად ვალდებულებებს, მიკრობანკი უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით, მოითხოვოს კლიენტისათვის დარჩენილი დავალიანების გადახდის დაკისრება და აღსრულება მიაქციოს კლიენტის სხვა, ნებისმიერ ქონებაზე.

მუხლი 10. მოთხოვნის მესამე პირისათვის გადაცემა

10.1. მიკრობანკი უფლებამოსილია, კლიენტის თანხმობისა და მისთვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს (მოთხოვნის უფლების დათმობა).

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

11.1. ხელშეკრულება შეწყდება ვადის გასვლისთანავე მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში.

11.2. თუ ვადის გასვლის მომენტისათვის კლიენტს არა აქვს სრულად შესრულებული ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები, მაშინ მიკრობანკს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულებების სრულად შესრულება და მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

მუხლი 12. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

12.1. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

12.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

12.1.2. მსესხებლის მიერ ცალმხრივად, თუ მის მიერ შეწყვეტის მოთხოვნის მომენტისათვის სრულად არის შესრულებული ამ ხელშეკრულებითა და ყველა შემადგენელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

12.1.3. თუ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა ან არსებობს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რეალური საფრთხე;

12.1.4. ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 13. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

13.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მისი ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადები და პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

მუხლი 15. დავები

15.1. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, სართ. 2, ოფისი 11. ვებგვერდი: WWW.DRC.GE. ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟი დავას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის (დავის საგნის) ღირებულებისა.

მხარეები ასევე ვთანხმდებიან, რომ მხარეებს შორის, ასევე საარბიტრაჟო დაწესებულებას დავების განმხილველი ცენტრს ს/კ 204547348 შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით. ამ შემთხვევაში შეტყობინება განხორციელდებულად ჩაითვლება, თუ იგი მხარეს ჩაბარდა ელ. ფოსტის მეშვეობით. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ. ფოსტის მისამართზე ელ. ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

16.1. ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

16.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა კონტრაგენტის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების შესაძლებლობას.

16.3. შეტყობინება (გაფრთხილება, კორექსონდენცია, გზავნილი) ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი გაგზავნილია ერთ-ერთი ჩამოთვლილი საშუალებით: დაზღვეული (საფოსტო) წერილით, კურიერის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, სოციალური ქსელების მეშვეობით ან ელ. ფოსტის მეშვეობით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო მისამართებზე (მობილური, ელ. ფოსტა), ან კლიენტის მიერ ჩაბარებულია (მიღებულია) ხელზე უშუალოდ, ან/და გადაცემულია კლიენტის ოჯახის წევრისთვის. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას. ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნიდან მეორე დრეს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ადრესატისაგან შეტყობინების მიღების დასტური ან პასუხი.

- 16.4.** მხარეები ვალდებული არიან აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ, ასეთი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში შეტყობინება მიღებულად ითვლება მხარისათვის ცნობილ უკანასკნელ საკონტაქტო მისამართზე შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაშიც.
- 16.5.** წინამდებარე ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად, თუ ხელშეკრულება დადებულია არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და ეს გარემოება მიკრობანკისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ.
- 16.6.** წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები ვრცელდება მხარეთა შესაბამის მემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე, მაგრამ კლიენტს უფლება არა აქვს მიკრობანკის წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს ან დაუთმოს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.
- 16.7.** წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას.
- 16.8.** წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.
- 16.9.** წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 16.10.** მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მიკრობანკის იურიდიული მისამართი.
- 16.11.** კლიენტის რეგისტრაციის ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ფაქტობრივ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მისამართზე გაგზავნილი წერილები და შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის ან შეტყობინების გაგზავნის დღეს მიკრობანკისთვის ცნობილ მის მისამართს – თუ ახალი მისამართისა და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მსესხებელი წინასწარ, წერილობით არ აცნობებს მიკრობანკს.
- 16.12.** თუკი არ ხერხდება კლიენტის რეგისტრაციის ან სხვა მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, მიკრობანკი უფლებამოსილია შეტყობინება განახორციელოს სატელეფონო კავშირის მეშვეობით, რაზედაც მიკრობანკის შესაბამისი თანამშრომელი ადგენს წერილობით დოკუმენტს, სადაც მიეთითება სატელეფონო კავშირის ზუსტი დრო, გამოყენებული კავშირის საშუალება, ტელეფონის ნომრები და გადაცემული შეტყობინების შინაარსი. ასეთი ფორმით განხორციელებული სატელეფონო შეტყობინება წარმოადგენს მსესხებელთან კომუნიკაციის ოფიციალურ ფორმას, რომელიც წარმოშობს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების სხვა პუნქტებით.
- 16.13.** მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებგვერდზე <http://www.mbc.com.ge/> და ელ. ფოსტაზე complaint@mbc.com.ge. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით ნომერზე (032) 2505002, ან უშუალოდ მიკრობანკის შესაბამის სერვის ცენტრში. მომხმარებლისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
- 16.14.** წინამდებარე ხელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცა თითოეულ მხარეს, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

კლიენტი

(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

მიკრობანკი

(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)
